



საქართველოს გაეროს ღაცვისა და სოფლის მეურნეოების მინისტრი

ბრძანება N 2-466

09/06/2020

ქ. თბილისი

მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „კავკასიენერგოს“ მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (110 კვ ძაბვის ეგზ. „ნენსკრა-ხაიშის“ (13,56 კმ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ეგზ-ების და ქვესადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) ელექტროენერგიით დროებითი მომარაგების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2019 წლის 9 დეკემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „კავკასიენერგოს“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იყო მესტიის მუნიციპალიტეტში, მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (110 კვ ძაბვის ეგზ. „ნენსკრა-ხაიშის“ (13,56 კმ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ეგზ-ების და ქვესადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) ელექტროენერგიით დროებითი მომარაგების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე 2020 წლის 29 იანვარს ს სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პროექტზე შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება სხვადასხვა საკითხების დაზუსტების მიზნით. 2020 წლის 25 თებერვალს შპს „კავკასიენერგომ“ წარმოდგინა გადამუშავებული გზშ-ის ანგარიში, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშსა და კანონით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტაციაზე სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გერგილის“ მიერ.

შპს „კავკასიენერგოს“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო მესტიის მუნიციპალიტეტში, მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად ელექტროენერგიით დროებითი მომარაგების პროექტის სკოპინგის განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი (ბრძანება N 2-776; 13/08/2019; სკოპინგის დასკვნა №74; 22/07/2019).

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს, მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშისა და ჭუბერის თემის ტერიტორიაზე, სადაც დაგეგმილია არსებული ქ/ს „ხუდონისა“ და მესტიის დამაკავშირებელი ამორტიზირებული 35 კვ. სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზის დემონტაჟი ქვესადგურ საგერგილამდე და 110 კვ. სიმძლავრის ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა (ძირითადად იგივე ბუფერში) საგერგილას ქვესადგურიდან ჰიდროელექტროსადგური ნენსკრას საპროექტო ტერიტორიამდე.

საპროექტო დერეფანში შპს „კავკასიურგოზე“ 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-ხაიშის“ 11,67 კმ. სიგრძის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2016 წლის 10 ნოემბერს გაცემულია N55 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ასევე 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-ხაიში“ 2 კმ-იანი (1890 მ) სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა/ექსპლუატაციაზე 2017 წლის 9 იანვარს გაცემულია N2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მოიცავდა ხუდონის ქვესადგურიდან ნენსკრა ჰესის შენობის ქვესადგურამდე ალტერნატიულ დერეფანს.

110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-ხაიში“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2016 წლის 10 ნოემბერს N55 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მიზანს წარმოადგენდა მშენებარე ნენსკრა ჰესიდან 35 მეტრ სიმძლავრის ელექტროენერგიის ხაიშის ქვესადგურში ჩართვა.

გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, რამდენიმე ანძას შორის მონაკვეთზე ზოოლოგიური კვლევების ჩატარება ვერ მოხერხდა უგზოობის გამო. აღნიშნული ტერიტორია ძირითადად ხელუხლებელია და გაუვალ ტყეს წარმოადგენს, სადაც ცხოველები ანთროპოგენული გავლენისგან უნდა აფარებდნენ თავს.

110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-ხაიში“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2017 წლის 9 იანვარს N2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ითვალისწინებდა 110 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ს გაყვანას და ექსპლუატაციას ნენსკრა ჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში (კერძოდ, ხაიშის ქვესადგურში) ჩართვის მიზნით.

ეგზ-ს განსახილველი 2 კმ-იანი (1890 მ) დერეფნის განთავსება იგეგმებოდა მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის თემის საზღვრებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე. ეგზ-ს 2 კმ-იანი (1890 მ) მონაკვეთზე, დერეფანი მთლიანად გადიოდა არსებული გრუნტიანი გზის გასწვრივ. ელექტროგადამცემი ხაზების მთლიანი სიგრძე შეადგენდა 13.56 კმ-ს.

როგორც გზშ-ის ანგარიშით დგინდება, აღნიშნული დასკვნებით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა აღარ ხორციელდება და შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- არსებული 35 კვ. გაბარიტებში ქ/ს „ხუდონისა“ და დაბა მესტიის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია (110/35 კვ გაორჯაჭვიანება) ქ/ს საგერგილამდე. ეგზ-ს სიგრძე შეადგენს - 9070 მეტრს;
- არსებული ქ/ს საგერგილას რეკონსტრუქცია;
- 110/35 კვ ეგზ-ს მონაკვეთის მშენებლობა/ექსპლუატაციას ქ/ს საგერგილადან „ნენსკრა“ ჰესის შენობამდე (110/35/15 კვ. ქვესადგური). ეგზ-ს სიგრძე შეადგენს - 4650 მეტრს;
- ნენსკრა ჰესის ქვესადგურის 110/35/15 კვ. („ნენსკრა“ ჰესის შენობასთან) მშენებლობა;

- 35კვ. სიმძლავრის საჰაერო-საკაბელო ხაზის მშენებლობას საპროექტო „ნენსკრა“ ჰესის ქვესადგურიდან (110/35/15 კვ.) საპროექტო კაშხლის ტერიტორიამდე (35/15 კვ. ქვესადგური). ეგხ-ს სიგრძე შეადგენს - 15,688 მეტრს;
- ნენსკრას კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე 35/15 კვ. ქვესადგურის მშენებლობა;

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მოიცავს 29,5 კილომეტრი სიგრძის ტერიტორიას, გზის ანგარიშში განხილულია ეგხ-ს ოთხი ალტერნატივა მათ შორის არაქმედების ალტერნატივა. შერჩეული ალტერნატივის თანახმად, ძირითადად მოხდება უკვე არსებული ინფრასტრუქტურის, გზების და ქვესადგურების გამოყენება, რაც ამცირებს კუმულაციურ ზემოქმედებას გარემოზე, ორი დამოუკიდებელი პროექტის ერთ დერეფანში განხორციელების გამო. რაც შეეხება ქვესადგურებს, გზის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეზღუდული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების გათვალისწინებით ელექტროგადამცემი ხაზისთვის სხვა დერეფნის ალტერნატივის შერჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია. შერჩეული ეგხ-ს და ქვესადგურების ალტერნატივის დასაბუთება დაეყრდნო საპროექტო დერეფანში ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებას და გარემოს თითოეულ კომპონენტზე შედარებით უმნიშვნელო ზემოქმედებას, რაც შერჩეული ალტერნატივის უპირატესობას ცხადყოფს სხვა ალტერნატივებთან შედარებით. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მიერ საკაბელო მონაკვეთის ცვლილება და უკვე არსებული, ათვისებული ბუფერის (500 კვ ეგხ-ს კავკასიონის) გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდაპირველი პროექტით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N55; 2016წ) გათვალისწინებული იყო 322, 509 მ² სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ათვისება, რასაც თან ახლდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება. ახალი ეგხ-ს დერეფნით, რომლის ფართობი შეადგენს ჯამში 25,465 მ² მნიშვნელოვნად მცირდება ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე, ამასთან, არსებული დერეფნის დიდი ნაწილი გადის უკვე ათვისებულ და ტექნოგენურად სახეცვლილ ტერიტორიებზე.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია არსებულ 35 კვ. ეგხ „მესტიას“ ტრასაზე სამუშაოების ჩატარება კერძოდ, 110/35/10 კვ. ძაბვის ქ/ს „ხუდონის“ და 35/10 კვ. ძაბვის ქ/ს „საგერგილას“ შორის 35 კვ. ეგხ „მესტიას“ გაორჯაჭვიანება, რაც თავის მხრივ, მოიცავს არსებული ერთჯაჭვიანი საყრდენების შეცვლას ახალი ორჯაჭვიანი საყრდენებითა და ახალი სადენით მის სრულ გაორჯაჭვიანებას (ეგხ-ს სიგრძე შეადგენს 9070მ-ს).

პროექტის ფარგლებში იგეგმება ახალი საპროექტო ეგხ-ს მშენებლობა, 35/10 კვ. ძაბვის ქ/ს „საგერგილადან“, ახალი სამშენებლო 110/35/10 ქ/ს „ნენსკრას“ შორის, რომლის ძირითად ნაწილს შეთანხმებული მემორანდუმის საფუძველზე ააშენებს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ N45-N59 ანძის ჩათვლით (3707 მ), ხოლო N59-N64 ანძის მონაკვეთს (942,5 მ) ააშენებს შპს „კავკასიენერგო“. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტზე“ გაცემულია მესტიის მუნიციპალიტეტში „ლახამი-საგერგილას 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 7 ნოემბრის N2-1063 ბრძანება. ვინაიდან საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთზე სხვადასხვა კომპანიის მიერ დაგეგმილი იყო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და საპროექტო დერეფანი კვეთდა ერთმანეთს, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის 2019 წლის 18 ივნისს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე მოხდა ლახამი-საგერგილას ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ნაწილობრივი ცვლილება და მიწისქვეშა საკაბელო ტრასის მაგივრად დაიგეგმა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის

მშენებლობა, ხოლო შპს „კავკასიენერგოს“ მიერ 110 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის განთავსება.

საკაბელო 35 კვ ეგხ-ს დერეფანი იწყება საპროექტო 110/35/15 კვ ქვესადგურ ჰესის შენობიდან და თითქმის სრულად იმეორებს არსებული და საპროექტო საავტომობილო გზის დერეფანს. ეგხ-ს დერეფანი სრულდება საპროექტო ნენსკრა ჰესის კაშხლის მიმდებარედ საპროექტო 35/15 კვ. ქვესადგურთან. ეგხ-ს დერეფანი მიუყვება ზემოაღნიშნული საავტომობილო გზის (ნენსკრას ჰესის შენობიდან საპროექტო ქვესადგურამდე) კონტურს, რომლის სიგრძე შეადგენს 15,688 მეტრს. პროექტით აღნიშნულ მარშრუტზე გათვალისწინებულია 675 საყრდენის განთავსება (ხის და ლითონის საყრდენის საშუალო სიმაღლე 10-14 მეტრი).

საპროექტო ეგხ-ს მთლიანი ჯამური სიგრძე, ქვესადგური ხუდონიდან ნენსკრა ჰესის კაშხლის ქვესადგურამდე შეადგენს 29,5 კილომეტრს.

35/6 კვ. ძაბვის ქვესადგური „საგერგოლა“ ტერიტორიულად მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, ზუგდიდი-ხაში-მესტიის ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარედ. ქვესადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X-272606,8; Y-4763377,7;

X-272616,3 Y-4763372,2; X-272532,2 Y-4763352,7; X-272601,7 Y-4763347,2;

პროექტით გათვალისწინებულია „ენერგო პრო ჯორჯიას“ ბალანსზე არსებული 1 კომპლექტი 35/6 კვ ძაბვის 4000 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა. არსებული ძალოვანი ტრანსფორმატორისათვის უნდა მოეწყოს საძირკველი, რომელიც შემოიფარგლება ბეტონის ბორდიურებით. ბეტონის ბორდიურის მოწყობის დროს, უნდა ჩაიდოს 1 ცალი 100 მმ დიამეტრის გოფრირებული მილი ტრანსფორმატორის მართვის კარადამდე. ბორდიურის შიდა ტერიტორია განკუთვნილი იქნება ტრანსფორმატორის ზეთმიმღები სისტემისათვის.

ქვესადგურის მოწყობის შემდეგ, უნდა მოხდეს ქვესადგურის მოშანდაკება საშუალო ფრაქციის 15 სმ სისქის ღორღის საფარით. ქვესადგურის მოწყობილობის დაცვა ხორციელდება ერთი ცალი მეხამრიდი ანძის საშუალებით.

საპროექტო 110/35/15 კვ ძაბვის ქვესადგური ჰესის შენობასთან მდებარეობს მდ. ნენსკრას ხეობაში, ჭუბერის თემის ტერიტორიაზე. ქვესადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X-27075620; Y- 4764542,74 X-270784,13; Y-4764553,14 X-270795,91; Y-4764521,90 X-270767,78; Y- 4764511,48.

საპროექტო ქვესადგურში პროექტით გათვალისწინებულია 1 კომპლექტი 110/35/15 კვ. ძაბვის 25000 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა. შერჩეული ძალოვანი ტრანსფორმატორისთვის უნდა მოეწყოს საძირკველი, რომელიც შემოიფარგლება ბეტონის ბორდიურით. ბეტონის ბორდიურის მოწყობის დროს, უნდა ჩაიდოს 1 ცალი 100 მმ დიამეტრის გოფრირებული მილი ტრანსფორმატორის მართვის კარადამდე. ბორდიურის შიდა ტერიტორია განკუთვნილი იქნება ტრანსფორმატორის ზეთმიმღები სისტემისათვის.

110 კვ ძაბვის უჯრედი დაკომპლექტებული იქნება თანამედროვე მოწყობილობებით:

110 კვ ძაბვის ელგაზური ამომრთველი; 110 კვ ძაბვის სამპოლუსა გამთიშველი დამიწების 2 დანით; 110 კვ ძაბვის ტრანსფორმატორი; 110 კვ ძაბვის აწვეის შემზღუდველი.

ქვესადგურში მექანიკური მდგრადობიდან და სიმძლავრიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებულია ფოლად-ალუმინის AC-120/19 სადენის გამოყენება.

ქვესადგური შემოიღობებამავთულბადიანი ღობით, რომელიც მოეწყობა რკინაბეტონის ცოკოლზე. მეხის პირდაპირი დაცემისაგან 110 კვ ძაბვის ღია გამანაწილებელი მოწყობილობის დაცვა ხორციელდება სამი ცალი მეხამრიდი ანძის და პორტალზე დამაგრებული ერთი მეხამრიდი შილის საშუალებით.

ქვესადგურის მოწყობის შემდეგ, ბეტონით უნდა მოეწყოს ქვესადგურის შიდა გზები და ქვესადგურის დანარჩენი ტერიტორია უნდა მომანდაკდეს საშუალო ფრაქციის 15 სმ სისქის ღორღის საფარით.

საპროექტო 35/15 კვ ძაბვის ქვესადგური ნენსკრა ჰესის კაშხალთან, „DAM AREA“ ტერიტორიულად მდებარეობს მდინარე ნენსკრას ხეობაში. ქვესადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X-272196,98; Y-4778698,42; X- 272224,98; Y-4778693,42 X-272224,98; Y-4778679,42; X-272196,98; Y- 4778679,42.

საპროექტო ქვესადგურში პროექტით გათვალისწინებულია 1 კომპლექტი 35/15კვ ძაბვის 15000 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორის მოწყობა. შერჩეული ძალოვანი ტრანსფორმატორისთვის უნდა მოეწყოს საძირკველი, რომელიც შემოიფარგლება ბეტონის ბორდიურით. ბორდიურში უნდა ჩაიდოს 1 ცალი 100 მმ-იანი გოფირებული მილი ტრანსფორმატორის მართვის კარადამდე. ბორდიურის შიდა ტერიტორია განკუთვნილი იქნება ტრანსფორმატორის ზეთმიმღები სისტემისთვის.

ქვესადგურში მექანიკური მდგრადობიდან და სიმძლავრიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებულია ფოლად-ალუმინის AC-120/19 სადენის გამოყენება.

35კვ და 15 კვ ძაბვის შემყვანები და 35/15 კვ ძაბვის ძალოვანი ტრანსფორმატორი დაკავშირებული იქნება კაბელით, რომლის საკაბელო ღარადმდე მიყვანა მოხდება კაბელგადამყვანის საშუალებით. ძალოვანი კაბელებისთვის მოეწყობა ანაკრები რკინაბეტონის 2000X500 მმ ზომის მიწისზედა საკაბელო ღარები.

15 კვ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობა განთავსდება კონტეინერში. ამავე კონტეინერში განლაგდება 0,4 კვ ძაბვის ფარი და 25 კვა სიმძლავრის საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი.

ქვესადგურის საკუთარი მოხმარების უზრუნველსაყოფად პროექტით განსაზღვრულია 1 კომპლექტი 25 კვა სიმძლავრის 15/0.4 კვ ძაბვის შიდა დადგმულობის ტრანსფორმატორის დამონტაჟება. 15 კვ ძაბვის შემყვანებსა და 15/0.4 კვ ძაბვის შიდა დადგმულობის ტრანსფორმატორებს შორის კავშირი იქნება 12/20 კვ NA2XS(F)2Y 3*(1*50) ალუმინის კაბელით.

ქვესადგურის შემოღობვა უნდა მოხდეს მავთულბადიანი ღობით, რომელიც მოეწყობა რკინა-ბეტონის ცოკოლზე. ქვესადგურის დაცვა ხორციელდება ორი ცალი მეხამრიდი ანძის საშუალებით.

ქვესადგურის მოწყობის შემდეგ, ბეტონით უნდა მოეწყოს შიდა გზები და ქვესადგურის დანარჩენი ტერიტორია უნდა მომანდაკდეს საშუალო ფრაქციის 15 სმ სისქის ღორღის საფარით.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროექტის განხორციელებისთვის ანძებთან მისასვლელი გზების მოწყობა საჭირო არ იქნება. მანქანების და სამშენებლო ტექნიკის გადასადგილებლად პროექტის ფარგლებში გზების მშენებლობა არ არის დაგეგმილი. თითოეული ანძის განთავსების ტერიტორიაზე, სადაც მოხდება ახალი ანძების დამონტაჟება იქნება გამოყენებული არსებული სატყეო და მუნიციპალური გზები.

ეგზ-ს დერეფანი ნაწილობრივ გადის არსებული გრუნტიანი გზის გასწვრივ. დღეისათვის გზაზე გადაადგილება შესაძლებელია მაღალი გამავლობის მანქანით. შესაბამისად, მცირე რეაბილიტაციის შემთხვევაში სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება საყრდენი ანძის განთავსების ადგილამდე შესაძლებელი იქნება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო მოედნის მოწყობა, კერძოდ, აღჭურვილობის, საწვავის და სამშენებლო მასალების დასაწყობება მოხდება ქ. ზუგდიდში, პუშკინის ქ. N102; (ს/კ: 43.31.46.174) ტერიტორიაზე. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის სამშენებლო ბანაკების მოწყობა არ იგეგმება. მუშახელის დროებით საცხოვრებლად გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის სასტუმროები ან კერძო სახლები. ქ. ზუგდიდიდან მოხდება მაღალი ძაბვის ანძებისა და სხვა სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება კონკრეტულ უბნამდე და მოხდება მათი ადგილზე აწყობა და განთავსება. ვინაიდან ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა არ ხორციელდება ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე, მანქანა დანადგარების განთავსება მოხდება სამუშაო უბნებზე საჭიროების შესაბამისად და ტექნიკის გასაჩერებლად ცალკე ტერიტორიის გამოყოფა საჭირო არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, 2018 - 2019 წლებში განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ბოტანიკური შესწავლა, საველე კვლევამდე მოხდა ლიტერატურული მასალების გაცნობა, საპროექტო დერეფნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საველე კვლევების დასრულების შემდეგ მოხდა ინფორმაციის დამუშავება და საბოლოო ანალიზი.

ელექტროგადამცემი ხაზის მოსაწყობად გარკვეულ მონაკვეთებზე ხეების მოჭრა იქნება საჭირო (N1-N45). განაპირა სადენიდან 25 მ-იანი (110 კვ გაბარიტებში) ზონის გარეთ არსებული ხეები, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ელექტროგადამცემ ხაზს, მოიჭრება ან გაიხსლება. მცენარეების ზრდის შემაფერხებელი ქიმიური საშუალებების გამოყენება არ მოხდება. გაწმენდის სამუშაოები განხორციელდება მექანიკური საშუალებებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ზემოქმედების არეალში ჩატარებული ბიომრავალფეროვნების დეტალური კვლევები და ტაქსაციის შედეგები. წარმოდგენილი კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო დერეფანში ჭრას დაექვემდებარება 673 ხე-მცენარე, საერთო მოცულობით 283,34 მ3. აღნიშნული ხე-მცენარეებიდან საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია 5 სახეობის 96 ხე-მცენარე საერთო მოცულობით 84,97მ.

საპროექტო ტერიტორიის 38851 მ² ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდს.

საპროექტო ეგზ-ს დერეფანი 1 კმ და მეტი მანძილით არის დაშორებული ზემო სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიებიდან. შესაბამისად პროექტის განხორციელების შედეგად დაცულ ტერიტორიებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ს დერეფნის თითქმის მთელი ტერიტორია მიუყვება არსებულ გზას. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე ძალზედ მცირეა და როგორც გზშ-ის ანგარიშშია აღნიშნული მისი მოხსნა-დასაწყობების საკითხი სამუშაოების განხორციელებამდე შეთანხმდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუმცა წინასწარი პროგნოზით საპროექტო ზოლში დაზიანებული უბნების საერთო ფართობი დაახლოებით იქნება 3000 მ². ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოხდება 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N424 დადგენილების „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ გათვალისწინებით.

სამშენებლო სამუშაოების დასრულებისას მოხდება მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის გამოყენება.

საპროექტო დერეფანში გაიწმინდება ანძების განთავსების ადგილები. ანძის საძირკვლის ფართობი განისაზღვრება ანძის ტიპით და კონკრეტული უბნის ტოპოგრაფიით. ანძის საძირკვლის მოწყობისას გათვალისწინებული იქნება გეოლოგიური პირობები. გეოლოგიური პირობების მიხედვით, ბეტონის საძირკვლის სისქე 2-3 მ, ან მეტი იქნება. ანძის საძირკვლების უმრავლესობა ფილა-წაკვეთილი პირამიდის ტიპის იქნება, საძირკვლის თხრილები კი მექანიკური საშუალებებით გაიჭრება. ამოღებულ თხრილში ბეტონის ფილები ჩალაგდება, რის შემდეგაც ანძის თითოეული საყრდენი წაკვეთილი პირამიდის ფორმის რკინაბეტონის კონსტრუქციაზე დამონტაჟდება. ანძის საყრდენებთან წყლის დაგროვების თავიდან ასაცილებლად და წყლის სათანადო დრენაჟის უზრუნველსაყოფად მოედანი მოსწორდება.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ჩატარებულია გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევები. გაზრდილია ჭაბურღილები, შურფები და გაკეთებულია გეოლოგიური ჭრილები, რომლის შედეგებიც დანართის სახით თან ახლავს გზშ-ის ანგარიშს. ჩატარებული კვლევებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება კავკასიონის ქედის საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის ზონას, რომელიც აგებულია ცარცული, იურული და პალეოზოური ნაოჭა წყებებით, ხუდონი-ნესკრას და ჰესის შენობის 110/35 კვ-იანი შემაერთებული ელექტროგადამცემი ხაზის ზოლი გადის მდინარე ენგურისა და მდინარე ნენსკრას ხეობებში.

გზშ-ის ანგარიშში აღწერილია ტერიტორია, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მდ. ნენსკრა, შესართავიდან საავტომობილო ხიდამდე მიედინება კლდოვან ქანებში. ამ მონაკვეთზე, ეროზიული პროცესები შენელებულია. შემდეგ, მეწყრული პროცესების წარმოშობა განპირობებულია ძველი გრუნტის გზის მშენებლობისას ფერდობის მოჭრით. არსებული მდგომარეობით მეწყრული პროცესები შეჩერებულია, რასაც ხელს უწყობს დამეწყრილი უბნების თავზე არსებული ტყე. რთული მეტეოროლოგიური პირობების შემთხვევაში, შესაძლებელია ლოკალურ ადგილებში ჩამოვიდეს გრუნტის უმნიშვნელო მასები.

ზემოაღნიშნული გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიებზე, სადაც განვითარებულია სხვადასხვა გეოლოგიური საფრთხეები, დაგეგმილია შესაბამისი დამცავი საინჟინრო-გეოლოგიური კონსტრუქციების მოწყობა, მაგალითად, მდინარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ დაგეგმილია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, გაბიონების მოწყობა, აგრეთვე ქვათაცვენის საწინააღმდეგოდ დაგეგმილია შესაბამისი დამცავი ღონისძიებები.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ ასევე გაყვანილ ჭაბურღილებში და შურფებში, გრუნტის წყლების გამოვლინება დაფიქსირებული არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ეგზ-ს საცხოვრებელ სახლებთან მინიმალური მანძილი შეადგენს 25 მეტრს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. ვინაიდან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები ძირითადად გადის დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ხოლო დასახლებულ პუნქტთან ხდება მისი იზოლირებული კაბელის მეშვეობით გაყვანა, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს ზემოქმედებას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შესაბამისად ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხაიშის თემში, სოფელ ტობარში, ეგხ-ს დერეფნიდან 320 მეტრში მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია. ჭუბერში ორი მოქმედი ეკლესიაა. ერთი მდებარეობს ლახამში, რომელიც IX საუკუნით თარიღდება, ხოლო მეორე - ლეცფერში. ლეცფერის ეკლესია მდებარეობს ხეობის მთავარი გზიდან 50 მეტრში, ხოლო ეგხ-ს დერეფნიდან 25 მეტრში. საპროექტო ტერიტორიაზე არ მდებარეობს სასაფლაო და იუნესკოს ან მსოფლიო მემკვიდრეობის კანდიდატი ძეგლი.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა, ნარჩეგბის მართვის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების მართვის გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სამინისტროში წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, დამატებით სამინისტროს ვებგვერდზე ატვირთული იყო პრეზენტაცია, სადაც საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა მოკლე ინფორმაციას პროექტთან დაკავშირებით. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №196 დადგენილების შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „კავკასიენერგოს“ მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (110 კვ ძაბვის ეგხ „ნენსკრა-ხაიშის“ (13,56კმ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ეგხ-ების და ქვესადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) ელექტროენერგიით დროებითი მომარაგების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნა წერილობით. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის განცხადებები განთავსდა მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროში შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და მეორე დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „კავკასიენერგოს“ მშენებარე ჰიდროელექტროსადგური „ნენსკრას“ სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად (110 კვ ძაბვის ეგხ „ნენსკრა-ხაიშის“ (13,56კმ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ეგხ-ების და ქვესადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) ელექტროენერგიით დროებითი მომარაგების პროექტზე;

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
 - 3.1. 110 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) „ნენსკრა-ხაიშის“ 11,67 კმ. სიგრძის მონაკვეთის 2016 წლის 10 ნოემბრის N55 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ბრძანება №-593 11/11/2016;
 - 3.2. 110 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ნენსკრა-ხაიშის“ 2 კმ-იანი (1890 მ) სიგრძის მონაკვეთის მშენებლობა/ექსპლუატაციაზე 2017 წლის 9 იანვრის N2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ბრძანება №-9 10/01/2017.
4. შპს „კავკასიენერგომ“ საქმიანობა განხორციელოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების, გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის პროგრამის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
5. შპს „კავკასიენერგომ“ ეგხ-ს დერეფანში ჭრას დაქვემდებარებული უბნებიდან უზრუნველყოს 8 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე „წითელი ნუსხის“ სახეობების გადარგვა შესაბამის გარემოში;
6. შპს „კავკასიენერგომ“ მშენებლობის დაწყებამდე დამატებით უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნის სენსიტიური სახეობების (დათვი, კავკასიური გველგესლა) არსებობაზე დაკვირვების საკითხი, ასევე მონიტორინგის გეგმაში ასახული იქნეს გეგმაში მითითებული საკითხების (მათ შორის ფრინველების დაზიანების/სიკვდილიანობის შესახებ) სამინისტროსთან ანგარიშგების პერიოდულობის შესახებ ინფორმაცია. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. შპს „კავკასიენერგომ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული რეკულტივაციის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება. სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
8. შპს „კავკასიენერგომ“ ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვა და შესაბამისი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა;
9. შპს „კავკასიენერგომ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჩასატარებელი ნებისმიერი ქმედების ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება;
10. შპს „კავკასიენერგომ“ სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტის ან/და არტეფაქტის შესაძლო დაზიანების პრევენციის მიზნით, უზრუნველყოს მშენებლობის პროცესში მიწის სამუშაოების არქეოლოგიური ზედამხედველობა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შესარბილებლად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ღონისძიებების განხორციელება;
11. შპს „კავკასიენერგომ“ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, შეწყვიტოს სამუშაოები და

- დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს;
12. შპს „კავკასიენერგომ“ მშენებლობის დაწყებამდე, 2015 წლის 4 აგვისტოს მინისტრის N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, სამინისტროსთან შეთანხმდეს ნარჩენების მართვის გეგმა მშენებლობა-ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების გათვალისწინებით;
 13. შპს „კავკასიენერგომ“ სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს;
 14. შპს „კავკასიენერგომ“ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინააღმდეგ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის სამინისტროში წარმოდგენა;
 15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
 16. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კავკასიენერგოს“;
 17. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კავკასიენერგოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
 18. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მეტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
 19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი